

1964/9



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 36 (269)

31 დეკემბერი

1964 წელი

## შ ი ნ ა რ ს ი

### ნაწილი I

ბანაოფილება პირველი

- 528. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სამრეწველო საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებულ შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.
- 529. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო განათლების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 530. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესწორებათა რატიფიკაციის შესახებ.
- 531. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აღმოსავლეთ რესპუბლიკა ურუგვაიში სსრ კავშირის სავანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. რ. სტრიგანოვის დანიშვნის შესახებ.
- 532. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყირგიზეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 533. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 534. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 535. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ ძალადაქარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის შესახებ“.

სსსს საბჭოს

- 636. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. გუშჩინის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
- 637. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ შალი ვისოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემაზე სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულების ოქმის რატიფიკაციის შესახებ.

**ბანუოფილება მეორე**

- 538. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გვირი დღის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 539. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უზბეკეთის კამხის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობის ნ. რახიმოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 640. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის სერჯანტის ვ. ა. ბულდინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
- 541. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვ. კინგისეპის სახელობის ტაღინის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობის ა. ვ. ესკოლსათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 542. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიორ ა. ა. ივანუშკინის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 643. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. ლიჩინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 644. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო სავეეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ვ. ჩადაევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 645. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ი. ი. გუსაკოვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 646. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ოვჩინიკოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 647. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. სადოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 648. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. კ. სირკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 549. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის ზემდევის ი. ა. დობროგორსკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 650. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ ს. ი. იუტკევიჩის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 651. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო სავეეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვ. პ. ბალანდინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 552. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. გენკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 653. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ვ. ა. ანდრიანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 554. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ს. პეტრუშვილისათვის სოციალისტური შრომის გვირის წოდების მინიჭების შესახებ.

ბანუოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფ. სენსიმ.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

ბანუოფილება პირველი

- 555. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ.
- 556. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წვრილმანი ხელიგნობის გამო დაპატიმრებული პირებისათვის შაიო შენახვის ხარჯების გადახდევინების შესახებ.
- 557. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირტუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.
- 558. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოქალაქეთა (გარდა კოლმურწნეებისა) პირად საკუთრებაში მყოფი პირტუტყვის ნორმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიმრ მიღებული

კანონები და დადგენილებანი

(საქართველოს სსრ მემკვხმ მოწვევის უმაღლესი საბჭოს

მიმთხე სსრია)

- 559. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.
- 560. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 561. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- 562. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის დამტკიცების შესახებ.
- 563. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საბროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ.
- 564. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 21, 107, 108 და 109 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.



- 565. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს კავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლში დამატებათა შეტანის თაობაზე.
- 566. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ბ. ი. გუჯეიანის საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 567. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- 568. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
- 569. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშრობის და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომობილტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 570. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „არასრულწლოვანთა საშიშობის აღმისიების დებულებაში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
- 571. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 49 და 80 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- 572. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენების ვაშო.

**ჯანყოფილება შიორა**

- 673. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ს. მეტრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 674. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ლ. ჭანკოტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 675. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. შეროზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 676. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ვერიფენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 677. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

678. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ი. ი. ბოკერიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
679. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანხ. ო. დ. ონიაშვილისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
680. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.  
1964 წლის ანბანურ-სავნობრივი საქიებელი.

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**628** არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სამრეწველო საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თანაგონიერება სსრ კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სამრეწველო საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1964 წლის 22 სექტემბერს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიმოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 12 დეკემბერი.

№ 3101-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**629** სახალხო განათლების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩაითვალოს ძალადაკარგულად სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები, თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიმოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1964 წლის 12 დეკემბერი.

№ 3146-VI.

და ნ ა რ თ ი:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებისა „სახალხო განათლების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

№ 3146-VI.

ნ უ ს ხ ა

**სახალხო განათლების საკითხებზე სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა**

1. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის 1924 წლის 25 ივლისის დადგენილება „უპატრონო ბავშვთა დახმარების მოსაწყობად ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო და ადგილობრივი ფონდების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1924 წ., № 3, მუხ. 33) ცვლილებებითურთ (სსრკ კან. კრებ., 1926 წ., № 61, მუხ. 466).
2. ნ. ნ. ნარიშკინის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის 6 ივლისს (სსრკ კან. კრებ., 1926 წ., № 65, მუხ. 496).
3. ლენინგრადის ა. ს. ენუქიძის სახელობის ცოცხალი აღმოსავლური ენების ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის 24 ივლისს (სსრკ კან. კრებ., 1926 წ., № 65, მუხ. 497). ცვლილებითურთ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 34, მუხ. 356).
4. სსრკ ცაკის პრეზიდიუმის 1926 წლის 13 აგვისტოს დადგენილება „შუაზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1926 წ., № 73, მუხ. 563).
5. სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ა. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1926 წლის 21 დეკემბერს (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 9, მუხ. 88).
6. სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ჩრდილოეთის ხალხთა ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1930 წლის 6 მარტს (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 19, მუხ. 211).
7. სსრკ ცაკის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილება „უმაღლეს სკოლებსა და ტექნიკუმებში სასწავლო პროგრამების და რეჟიმის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1932 წ., № 68 მუხ. 409).
8. 47 პუნქტი სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 30 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შორის პერიოდში მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე, უნდა დაამ-

უკიცოს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა“ (სსრკ კან. კრებ., 1933 წ., № 6, მუხ. 42).

9. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 27 თებერვლის დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის ტიპური წესდების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ. კან. კრებ., 1934 წ., № 13, მუხ. 87-ბ).

10. სსრ კავშირის უმაღლესი სკოლის ტიპური წესდება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 27 თებერვლის დადგენილებით (სსრკ. კან. კრებ., 1934 წ., № 13, მუხ. 87-ბ).

11. სსრ კავშირის ცაკთან არსებული „პრავდის“ სახელობის ჟურნალისტიკის სრულიად საკავშირო კომუნისტური ინსტიტუტის დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის მიერ 1934 წლის 27 მარტს (სსრკ. კან. კრებ., 1934 წ., № 17, მუხ. 125).

12. 15 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 მარტის დადგენილებისა „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ სსრ კავშირში“ (სსრკ კან. კრებ., 1934 წ., № 18, მუხ. 141).

13. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის მიერ 1934 წლის 27 მარტს (სსრკ კან. კრებ., 1934 წ., № 23, მუხ. 179).

14. 2 პუნქტი, 7 პუნქტის პირველი აბზაცი, 9 პუნქტის მეორე აბზაცი და 12 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 3 სექტემბრის დადგენილებისა „ექიმების მომზადების შესახებ“ (სსრკ. კან. კრებ., 1934 წ., № 44 მუხ. 348).

15. სსრ კავშირის ცაკთან არსებული სრულიად საკავშირო სამართლებრივი აკადემიის წესდება, დამტკიცებული სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ 1935 წლის 4 აგვისტოს (სსრკ. კან. კრებ., 1935 წ., განყოფილება II, № 13, მუხ. 124).

16. სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 17 ივნისის დადგენილება, „სსრ კავშირის ცაკთან არსებული სრულიად საკავშირო სამართლებრივი აკადემიის შემადგენლობაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-იურიდიული ფაკულტეტის შექმნის შესახებ“ (სსრკ. კან. კრებ., 1936 წ., № 33, მუხ. 301).



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 630 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესწორება- თა რატიფიკაციის შესახებ

თანმოება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებას და რატიფიცირებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23, 27 და 61 მუხლების შესწორებანი, მიღებულნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე, რომლებიც შეეხებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრთა და ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრთა შემადგენლობის გადიდებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 დეკემბერი.

№ 3152-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 631 აღმოსავლეთ რესპუბლიკა ურუგვაიში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ს. რ. სტრიგანოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს სერგი რომანოვის ძე სტრიგანოვი აღმოსავლეთ რესპუბლიკა ურუგვაიში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 დეკემბერი.

№ 3156-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 632 ყირგიზეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აპარატის აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სისამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რეს-

პუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიმონაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 დეკემბერი.

№ 3159-VI.



**დაწარმო**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულებისა „ჩვირჯიხეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

№ 3159-VI.

**ნ უ ს ხ ა**

**სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა**

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).
2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).
3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ. № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.
4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).
5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).
6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).
7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1. მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ

**633** სომხეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოქალაქე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩაითვალოს ძალადაკარგულად სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ჰიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 დეკემბერი.

№ 3160-VI.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულებისა „სომხეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ“ № 3160-VI.

## ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).
2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).
3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.
4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).
5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1937 წ., № 69, მუხ. 314).
6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).
7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).



8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რამდენად დაშვებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები: 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**634** ესტონეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების კალადაპარაზულად ცნობის შესახებ

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო-სასამართლო წარმოების საფუძველთა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ჩაითვალოს ძალადაკარგულად ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1965 წლის 1 იანვრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანდართული ნუსხის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თ: ვმჯდომარე პ. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გომრბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 დეკემბერი.

№ 3161-VI.

9362





## დაწვრილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულებისა „ესტონეთის სსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

№ 3161-VI.

## ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის იმ აქტებისა, რომელთაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადო ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).
2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).
3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრებ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.
4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემგვითვის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტორული, საინჟინრო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრებ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).
5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობების გაუმჯობესების შესახებ“ (სსრ კან. კრებ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).
6. ის ნაწილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 6 ნოემბრის ბრძანებულებისა „ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის დროებითი გამოყენების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1940 წ., № 46), რომელიც ეხება რსფსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების გამოყენებას.
7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მიმკვიდრობის შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).
8. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდა

ვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

9. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა  
**635** იმის თაობაზე, რომ ქალაქაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავ-  
 შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 5 თებერვ-  
 ლის ბრძანებულება „შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის შე-  
 სახებ“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ქალაქაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-  
 ზიდიუმის 1963 წლის 5 თებერვლის ბრძანებულება „შუა აზიის ეკონომიური  
 რაიონის შექმნის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გიჟოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 22 დეკემბერი.

№ 3163-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**636** ამხ. ვ. მ. გუშჩინის სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან  
 განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვალენტინ მიხეილის ძე გუშჩინი სსრ კავშირის  
 მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გიჟოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 22 დეკემბერი.

№ 3164-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**637** საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცკის  
 ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემაზე სსრ კავ-  
 შირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულე-  
 ბის ომის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკა-  
 ციოდ წარმოდგენილი საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვი-  
 სოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემაზე საბჭოთა სოცია-  
 ლისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის 1962

წლის 27 სექტემბერს დადებული ხელშეკრულების ოქმი, ხელმოწერილი ვერ  
სინკში 1964 წლის 11 აგვისტოს, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შიშკინიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 7 დეკემბერი.

№ 3068-VI.

### განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**638** საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილია-  
ნი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭა-  
ვის შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“  
ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს,  
რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. კალინკა გრიგოლის ასულ აბულაძეს — კოლმეურნეობა „სოციალის-  
ტური სოფლის“ წევრს, ზესტაფონის რაიონი.
2. ნატალია მახჩოს ასულ აგუხავას — კოლმეურნეობა „ააცის“ წევრს,  
აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი.
3. ქუეა იასოხის ასულ არდიას — კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ წევრს,  
წალენჯიხის რაიონი.
4. ნატაშა გერასიმეს ასულ მეფარიშვილს — კოლმეურნეს, მახარაძის  
რაიონის სოფელი მაკვანეთი.
5. ფეოდოსია ფილიპეს ასულ ნანავას — კოლმეურნეობა „გამარჯვების“  
წევრს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონი.
6. ალექსანდრა შალვას ასულ სუთიძეს — ა. წერეთლის სახელობის  
კოლმეურნეობის წევრს, ზესტაფონის რაიონი.
7. ოლია სამსონის ასულ ჩუბინიძეს — 26 კომისრის სახელობის კოლმე-  
ურნეობის წევრს, ზესტაფონის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შიშკინიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 დეკემბერი.

№ 3137-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**639** უზგაპეთის ჰამზის სახელოვის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობის ნ. რახიმოვისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის უზგაპეთის ჰამზის სახელოვის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს ნაბი რახიმოვს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჰოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 დეკემბერი.

№ 3148-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**640** მილიციის სერჟანტის ვ. ა. ზულდინის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საშიშრი დამნაშავეების დაკავების დროს გამოჩენილი თავგანწირულობისა და მამაცობისათვის მილიციის სერჟანტი ვალენტინ ალექსანდრეს ძე ზულდინი დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჰოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 დეკემბერი.

№ 3149-VI.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**641** ვ. კინგისეპის სახელოვის ტალინის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობის ა. ვ. ესკოლასათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის ტალინის ვ. კინგისეპის სახელოვის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის არტისტს ანტს ვოლდემარის ძე ესკოლას მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჰოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 დეკემბერი.

№ 3153-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 642 მაიორ ა. ა. ივანუშკინის სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მაიორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ივანუშკინი დაჯილდოვდეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 დეკემბერი.

№ 3154-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 643 ახვ. ნ. მ. ლიჟინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ყარაჩაი-ჩერქეზეთის ოლქკომის პირველი მდივანი ნიკოლოზ მიხეილის ძე ლიჟინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 დეკემბერი.

№ 3155-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 644 რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ახვ. ი. ე. ჩადავის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ახვ. იაკობ ერმილეს ძე ჩადავი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 დეკემბერი.

№ 3162-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 645 გენერალ-პოლკოვნიკ ი. ი. გუსაკოვსკის ლენინის ორდენით აჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც, წელ-  
თან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი იოსებ ირაკლის ძე გუსაკოვსკი და-  
ჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 დეკემბერი.

№ 3165-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 646 ამხ. ა. ი. ოვჩინიკოვას „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილ- დოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორ-  
მოცდაათ წელთან დაკავშირებით იაკუტის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-  
დიუმის თავმჯდომარე ალექსანდრა იაკობის ასული ოვჩინიკოვა დაჯილდოვდეს  
„საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 დეკემბერი.

№ 3166-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 647 ამხ. თ. ი. საღოვის შრომის წითელი დროშის ორდენით და- ჯილდოების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამსახურებისათვის და დაბა-  
დების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტო-  
რი, მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის პროფესორი თევდორე ივანეს ძე სა-  
ღოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3167-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 648 აკადემიკოს ი. კ. სირკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქიმიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი იაკობ კივის ძე სირკინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3168-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 649 მილიციის ზემდგვის ი. ა. დობროგორსკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოქალაქეთა სიცოცხლის გადარჩენისას გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მილიციის ზემდგვი ივანე აკიმის ძე დობროგორსკი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3169-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 650 კინორეჟისორ ს. ი. იუტკევიჩის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით კინორეჟისორი სერგი იოსების ძე იუტკევიჩი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3171-VI.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**651** რუსეთის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო საგვამო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვ. პ. ბალანდინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის სახელმწიფო საგვამო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვასილ პეტრეს ძე ბალანდინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3172-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**652** ახს. დ. მ. გენკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის გ. ვ. პლენანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი დიმიტრი მიხეილის ძე გენკინი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3173-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**653** აკადემიკოს კ. ა. ანდრიანოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქიმიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოს კუზმა ანდრიანის ძე ანდრიანოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

№ 3174-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## 654 აკადემიკოს ი. ს. ზარიტაშვილისათვის სოციალისტური შრომის ვიწროს წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ფიზიოლოგიის მეცნიერების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების ოთხმოც და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით აკადემიკოს ივანე სოლომონის ძე **ზარიტაშვილს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის ვიწროს წოდება** და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი „**ნამვალი და ურო**“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. მიქოიანი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 28 დეკემბერი.

№ 3177-VI.

### ბანუოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **ა. ი. მიქოიანს** რფშუნების სივალეზი გადასცა იტალიის რესპუბლიკის საზანგებო და სრულუფლებიანმა ელჩი ფედერიკო სენსი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

12 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ა. ი. მიქოიანმა** მიიღო იტალიის რესპუბლიკის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფედერიკო სენსი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი **ვ. ბოლასკო**, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი **ა. ბიზინიანი** და საელჩოს სხვა დიპლომატიური თანამშრომლები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, **ა. ი. მიქოიანსა** და **ფ. სენსის** შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **მ. პ. გიორგაძემ** და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ვ. ა. ზორინმა**.

### სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტში

11 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის სხდომა.

კომიტეტის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის **ი. ვ. სპირიდონოვის** მოხსენება საპარლამენტთაშორისო კავშირის 53-ე კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობისა და საპარლამენტთაშორისო კავშირის იმ მორიგი სხდომებისათვის მზადების შესახებ, რომლებიც გაიმართება 1965 წლის აპრილში.

მიღებული დადგენილებით კომიტეტმა მოიწონა საპარლამენტოპროცესის კავშირის 53-ე კონფერენციაზე წარგზავნილი საბჭოთა დელეგაციის საქმიანობა. კომიტეტმა დაამტკიცა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის ახალი სექციები — საბჭოთა კავშირ-მექსიკის (თავმჯდომარე მ. პ. გიორგაძე), საბჭოთა კავშირ-იაპონიის (თავმჯდომარე ბ. ე. ბუტომა) და საბჭოთა კავშირ-ბელგიის (თავმჯდომარე ა. პ. ვოოკოვი) სექციები.

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1964 წლის 18 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23, 27 და 61 მუხლების იმ შესწორებათა რატიფიკაციის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ უშიშროების საბჭოს წევრთა რიცხვის გადიდებას 11-დან 15-მდე და ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრთა რიცხვის გადიდებას 18-დან 27-მდე. ეს შესწორებები მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიამ 1963 წლის 17 დეკემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 23, 27 და 61 მუხლების შესწორებათა რატიფიკაციის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და ეკონომიური და სოციალური საბჭოს შემადგენლობათა გაფართოების საკითხი წარმოიშვა იმ ძირითად ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხდა მსოფლიოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებისა და იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებიდან გასული 20 წლის მანძილზე. თუ 1945 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში შევიდა 51 სახელმწიფო, ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკვე 115 წევრია, მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოების — უშიშროების საბჭოს და ეკონომიური და სოციალური საბჭოს სტრუქტურა დღემდე სავსებით ისეთივეა, როგორც იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შემუშავების დროს. ამის შედეგად უშიშროების საბჭოსა და ეკონომიური და სოციალური საბჭოში აზიისა და აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ, წარმოდგენილი არიან უაღრესად სუსტად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და ეკონომიური და სოციალური საბჭოს შემადგენლობათა გაფართოება გზას გაუხსნის აზიისა და აფრიკის ქვეყნებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ორგანოებში უზრუნველყონ ისეთი წარმომადგენლობა, რომელიც შეესაბამება მათ გაზრდილ როლს მსოფლიოს საქმეებში.

**ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ  
ცვლილებათა შესახება**

ყაზახეთის სსრ

**დასავლეთ-ყაზახეთისა და სამხრეთ-ყაზახეთის მხარეების გაუქმება**

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 1 დეკემბრის ბრძანებულებით გააუქმა დასავლეთ-ყაზახეთისა და სამხრეთ-ყაზახეთის მხარეები და მათ შემადგენლობაში შემავალი აქტიუბინსკის, გურიევის, ურალის, ჯამბულის, ყიზილ-ორდას და ჩიმკენტის ოლქები ფშუალოდ დაუქვემდებარა ყაზახეთის სსრ რესპუბლიკურ ორგანოებს.

**ნაწილი II**

**განყოფილება პირველი**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**655** საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ შემდეგი რაიონები და ამასთან დაკავშირებით გატარდეს ზოგიერთი სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებები.

1. გამოეყოს გეგეჭკორის რაიონს: აბაშის საქალაქო საბჭოს, ძველი აბაშის, გეზათის, ქოლობნის, ზანათის, ონტოფოს, სამიქაოს, სეფიეთის, სუჯუნის, წყემის, მარნის, ჰირველი მაისის, ნავსაკაოს, ნღრიოს სასოფლო საბჭოების ტერიტორია; ლანჩხუთის რაიონს — კეთილარის სასოფლო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან აბაშის რაიონი ცენტრით ქალაქ აბაშაში.

2. გამოეყოს ახალქალაქის რაიონს: ბოგდანოვკის სადაბო საბჭოს, განძნის, გორელოვკის, ეშტიის, გონდრიოს, სათხის, ტამბოვკის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ბოგდანოვკის რაიონი ცენტრით დაბა ბოგდანოვკაში.

3. გამოეყოს ხაშურის რაიონს: ახალდაბის, ვუჯარეთის, დვირის, გვერდის-უბნის, ტაბაწყურის, ტაძრისის, ციხისჯვრის, ყვიბისის, ტბის სასოფლო საბჭოების ტერიტორია, ბორჯომის საქალაქო საბჭოს — ბაკურიანის, წაღვერის სადაბო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ბორჯომის რაიონი ცენტრით ქალაქ ბორჯომში.

გამოეყოს ბორჯომის საქალაქო საბჭოს ვალეს საქალაქო და აბასთუმნის სადაბო საბჭოები და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ბორჯომი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

4. გამოეყოს გორის რაიონს: აგარის, ქარელის სადაბო საბჭოების ტერიტორია, აბისის, ბრეძის, ავლევის, ბრეთის გვერძინეთის, დირბის, ზღუდრის, კეხიჯვრის, დვანის, ქვენატკოცის, ზემო ხვედურეთის, ურბნისის, რუისის სასოფლო საბჭოების ტერიტორია, ხაშურის რაიონს — ახალსოფლის, მოხისის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ქარელის რაიონი ცენტრით დაბა ქარელში.

5. გამოეყოს თეთრი წყაროს რაიონს: წალკის, თრიალეთის სადაბო საბჭოების ტერიტორია, ბეშთაშენის, ბაშქოის, ედიქილისის, წინწყაროს, კუშჩის, ავრანლოს, კაბურის სასოფლო საბჭოების ტერიტორია, მარნეულის სამრეწველო რაიონს — ბედიანის სადაბო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან წალკის რაიონი ცენტრით დაბა წალკაში.

6. გამოეყოს ბოლნისის რაიონს: დმანისის სადაბო საბჭოს ტერიტორია, ამამლოს, კიროვისის, გომარეთის, სარკინეთის, დიდი დმანისის, ირვანჩაის, განთიადის, ყარაბულახის, საკირეს, მულანლოს, ყიზილქილისის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან დმანისის რაიონი ცენტრით დაბა დმანისში.

7. გამოეყოს ბოლნისის რაიონს: შაუმიანის სადაბო საბჭოს ტერიტორია, ახქერფის, ალგეთის, ქაფანახჩის, კასუმლოს, ყაჩაღანის, ყიზილ-აჯლოს, ქურთლარის, ოფრეთის, სადახლოს, თამარისის, ხოჯორნის, ორჯონიკიძის, შულაგერის სასოფლო საბჭოების ტერიტორია, მარნეულის სამრეწველო რაიონს — მარნეულის საქალაქო საბჭოს ტერიტორია და შეიქმნას მათგან მარნეულის რაიონი, ცენტრით ქალაქ მარნეუში.

ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს მარნეულის სამრეწველო რაიონი და წოპის დასახლება ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს მარნეულის რაიონის ხოჯორნის სასოფლო საბჭოს, ხოლო კაზრეთის დასახლება — ბოლნისის რაიონის ქვეშის სასოფლო საბჭოს.

8. გამოეყოს მცხეთის რაიონს: ალაიანის, ახალციხის, დოესის, ზემო ხანდაკის, სამთავისის, კავთისხევის, კოდისწყაროს, ლამისყანის, მეტეხის, ოკმის, ქვემო ჭალის, გომის ყარაღაჯის, ახალქალაქის, წინარეხის, ხოვლის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან კასპის რაიონი ცენტრით ქალაქ კასპში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი კასპი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს კასპის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

9. გამოეყოს ყვარლის რაიონს: ლაგოდების საქალაქო საბჭოს ტერიტორია, არეშფერანის, აფენის, ბაისუბნის, ნინიგორის, ვარდისუბნის, კაბლის, ლელიანის, ორჯონიკიძის, ფონის, ყარსუბნის, ულიანოვკის, ცოდნის, ცოდნიკარის, შრომის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ლაგოდების რაიონი ცენტრით ქალაქ ლაგოდესში.

10. გამოეყოს სიღნაღის რაიონს: წითელწყაროს საქალაქო საბჭოს ტერიტორია, არბოშივის, ზემო მაჩხანის, ქვემო ქედის, წითელი საბათლოს, წითელწყაროს, ზემო ქედის, ჯაფარიძის, გამარჯვების, არხილოსკალოს სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან წითელწყაროს რაიონი ცენტრით ქალაქ წითელწყაროში.

11. გამოეყოს ამბროლაურის რაიონს: ონის საქალაქო საბჭოს ტერიტორია, ღების, ჭიორის, გლოლის, საკაოს, მთისკალთის, ონის, ბარის კვაშიეთის, პიპილეთის, სორის, ფარახეთის, შქმერის, ცხმორის, წედისის, უწერის, გომის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ონის რაიონი ცენტრით ქალაქ ონში.

12. გამოეყოს წულუკიძის რაიონს: კულაშის სადაბო საბჭოს ტერიტორია, ნაფალაურის, მელაურის, ღანირის, დიდი ჭიხაიშის, ეწერის, ბაშის, გომის, გამორჩინებულის, გორმალაღის, საჯავახოს, ტოლების, ოფეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან სამტრედიის რაიონი ცენტრით ქალაქ სამტრედიაში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი სამტრედია მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

13. გამოეყოს მაიაკოვსკის რაიონს: ვანის სადაბო საბჭოს ტერიტორია, სულორის, სალხინოს, გადიდის, დინაშხოს, ძულუხის, ბზვანის, ტობანიერის, მუქედის, შუამთის, ყუმურის, უნუთის, ამაღლების, გორას, ზეინდრის, ფერეთას, საპრასიის, ციხესულორის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ვანის რაიონი ცენტრით დაბა ვანში.

14. გამოეყოს ზესტაფონის რაიონს: ალისუბნის, ახალი თერჯოლის, გოგნის, ეწრის, საზანოს, თუზის, თერჯოლის, რუფოთის, სიმონეთის, სიქთარვის, დვანკითის, ჩხარის, ძევრის, ბარდუბნის, ნახშირდელის, კვახჭირის, გოდოგნის, ქვედა სიმონეთის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან თერჯოლის რაიონი ცენტრით სოფელ თერჯოლაში.

გამოეყოს ტყიბულის საქალაქო საბჭოს ტყიბულაშის მუშათა დასახლება და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს თერჯოლის რაიონის ძევრის სასოფლო საბჭოს.

გამოეყოს ზესტაფონის საქალაქო საბჭოს შორაბნის სადაბო საბჭო და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ზესტაფონი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიას და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

15. გამოეყოს საჩხერის რაიონს: ვაჭვეის, ითხვისის, კაცხის, ნიგოზეთის, პერევისის, რგანის, სვერის, ქვაციხის, წირქვალის, ხვაშითის, ხრეთის, მანდაეთის, გეზრთლის, ზოდის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

16. გამოეყოს წყალტუბოს რაიონს: გურნის, კურსების, მუხურის, ორბიორის, სოჩხეთის, ცუცხვათის, ხრესილის, ჯვარისის სასოფლო საბჭოების

ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაქვემდებაროს ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

გამოეყოს წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ლაჯანურკესის მუშათა დასახლება და ადმინისტრაციულად დაქვემდებაროს ცაგერის რაიონის ალპანის სასოფლო საბჭოს.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიის და ადმინისტრაციულად დაქვემდებაროს წყალტუბოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

17. გამოეყოს ცხაკაის რაიონს: ჩხოროწყუს სადაბო საბჭოს ტერიტორია, ახუთის, კირცხის, ლესიჭინის, ლეწურწუმის, მუხურის, ნაკიანის, ნაფიჩხოვოს, კოლას; ხაბუმის, ზუმის, ქვედა ჩხოროწყუს სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ჩხოროწყუს რაიონი ცენტრით დაბა ჩხოროწყუში.

18. გამოეყოს ზუგდიდის რაიონს: ხობის სადაბო საბჭოს ტერიტორია, ახალხიბულის, ბიის, პირველი მაისის, პირველი ხორგის, საჯიჯაოს, თორსადღვანის, ქარიატის, ქვემო ქვალონის, შუა ქვალონის, შუა ხორგის, ძველხიბულის, ხამისყურის, ხეთის, ნოჯიხევის, პატარა ფოთის, ქვემო ჭალადიდის, განთიადის სასოფლო საბჭოების ტერიტორია და შეიქმნას მათგან ხობის რაიონი ცენტრით დაბა ხობში.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი ზუგდიდი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიის და ადმინისტრაციულად დაქვემდებაროს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

19. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი თელავი მიეკუთვნოს რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიის და ადმინისტრაციულად დაქვემდებაროს თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

20. დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება:

ა) გუდაუთის რაიონიდან მიქელრიფშის, ლესელიძის, ნაკადულის, განთიადის, ბაღნარის, ხაშუფსის, ხოლოდნაია-რეჩკის, კოლხიდის, ალახაძის, ბზიბის, ლიძავის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის, ვაგარის საქალაქო საბჭოდან — პიცუნდის სადაბო საბჭოს ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან ვაგარის რაიონის შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ ვაგარში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქ ვაგარის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად ვაგარის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

ახალი ათონის სადაბო საბჭოს ადმინისტრაციულად გუდაუთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ;

გ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქ ოჩამჩირის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად ოჩამჩირის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

21. დამტკიცდეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებას

ა) ქობულეთის რაიონიდან მახინჯაურის სადაბო საბჭოს ტერიტორიის, აჭარისალმართის, აჭარისწყლის, ახალშენის, გონიოს, ხელვაჩაურის, კახაბრის, კირნათის, ჩაისუბნის, სარფის, თხილნარის, ურეხის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათგან ბათუმის რაიონის შექმნის შესახებ ცენტრით ქალაქ ბათუმში;

ბ) რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქ ქობულეთის რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვნებისა და მისი ადმინისტრაციულად ქობულეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

22. ღამტკიცდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის წარდგინება:

ა) ზნაურის რაიონიდან ბელოთის, ვანათის, გერის, ძარის, ქემერტის, ქურთის, ბერულის, ქსუისის, ხეთაგუროვის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის, ლენინგორის რაიონიდან — არცევის, ბიყარის, ღრომის სასოფლო საბჭოების ტერიტორიის გამოყოფისა და მათი ადმინისტრაციულად ცხინვალის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ;

ბ) ცხინვალის საქალაქო საბჭოდან კვაისის სადაბო საბჭოს გამოყოფისა და მისი ადმინისტრაციულად ჯავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

23. ახალი რაიონების შექმნასთან დაკავშირებით გამოეყოს:

ა) ახალციხის რაიონის პამაჯის სასოფლო საბჭოს — ქალაქ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ვალეს საქალაქო საბჭოს;

ბ) ბორჯომის რაიონის ტბის სასოფლო საბჭოს — დაბა წალვერის კოლმეურნეობისა და დაბა ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს დაბა წალვერის კოლმეურნეობის ტერიტორია — წალვერის სადაბო საბჭოს, ხოლო დაბა ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია — ბაკურიანის სადაბო საბჭოს;

გ) მარნეულის რაიონის ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს — ქალაქ მარნეულის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს მარნეულის საქალაქო საბჭოს;

დ) საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს — ქალაქ საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს საგარეჯოს საქალაქო საბჭოს;

ე) კასპის რაიონის კავთისხევის სასოფლო საბჭოს — ქალაქ კასპის კოლმეურნეობის ტერიტორია და ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს კასპის საქალაქო საბჭოს.

24. მორიგ არჩევნებამდე შენარჩუნებულ იქნეს რაიონული საბჭოების დეპუტატების (შესაბამისი საარჩევნო ოლქებიდან) რწმუნებანი ახლად შექმნი-



ლი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში, აგრეთვე ქიმიკების საბჭოებისა და ცხინვალის საქალაქო საბჭოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1964 წლის 23 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 656 წვრილმანი ხულიგნობის გამო დაპატიმრებული პირებისათვის მათი შენახვის ხარჯების გადახდვინების შესახებ

წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულ პირთა შენახვის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ იმ პირებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან წვრილმანი ხულიგნობისათვის, სახალხო მოსამართლის დადგენილებით გადახდებით პატიმრობაში ყოფნის დროისათვის შენახვის ღირებულება დღეღამეში ერთი მანეთის ოდენობით.

ცალკეულ შემთხვევებში სახალხო მოსამართლეს, კონკრეტული ვითარებისა და დაპატიმრებულის პიროვნების ვათვალისწინებით, შეუძლია გაათავისუფლოს იგი აღნიშნული ხარჯების გადახდისაგან.

2. დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პასუხისმგებლობა, რომ აუცილებლად იქნეს გამოყენებული წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებული ყველა პირი. გარდა შრომისუნარმოკლებულებისა, ფიზიკურ სამუშაოზე — ქუჩების, სკვერების, პარკების დასუფთავების, გზების შეკეთების, ქალაქების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და სხვა სამუშაოებზე.

3. ჩაითვალოს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების „წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის ბრძანებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ“ მესამე პუნქტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი, 1964 წლის 26 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის

**657** „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნ-  
ქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის  
შენახვის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
კრედიტის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებაში ცვლილებათა  
შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში  
მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის  
შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8  
აგვისტოს ბრძანებულების 1 პუნქტის 1 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვე-  
ბი: „და მის მიდამოებში. აგრეთვე ქალაქებში“ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი  
რედაქციით:

„აეკრძალოს ქალაქებში: თბილისში, სოხუმსა და ბათუმში მცხოვრებ მო-  
ქალაქეთა პირადი საკუთრების პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ყოლა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწინძია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კახაბაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრედიტის

**658** მოქალაქეთა (გარდა კოლმეურნეებისა) პირად საკუთრება-  
ში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლო-  
ბის საფუძვლების 25 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-  
ჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალა-  
ქეებს, გარდა კოლმეურნეებისა (იმ ადგილებში, სადაც აკრძალული არ არის  
პირუტყვის ყოლა) შეუძლიათ იყოლიონ პირუტყვი პირად საკუთრებად ერთ  
ოჯახში:

ერთი ძროხა (ფურკამეჩი), ერთი სული მოზარდი, მიმდინარე წლის ნამა-  
ტის ჩაუთვლელად, ერთი ნეზვი ნამატი ან ერთი ღორი გასასუქებლად და ერთ  
წელზე უხნესი სამი სული ცხვარი და თხა ნამატი, ხოლო თუ ძროხა ან ღორი  
არ ჰყავთ — ერთ წელზე უხნესი ხუთი ცხვარი და თხა ნამატი.

უფლება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმას-  
რულებელ კომიტეტებს ცალკეულ შემთხვევებში ნება დართონ სოფლად მცხო-  
ვრებ მოქალაქეებს იყოლიონ აგრეთვე ერთი ცხენი პირადი მეურნეობის საჭი-  
როებისათვის.

კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს შეუნარჩუნდეთ პირუტყვის ის ნორმა, რომელიც მათთვის იყო დადგენილი ამ კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნამდე.

2. ის პირები, რომლებიც აღრიცხვის დროს გადამალავენ პირუტყვს დაჯარიმდებიან 20 მანეთამდე მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული კომისიის დადგენილებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების შესახებ“ და ამ საკითხზე საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა წინათ მიღებული საკანონმდებლო აქტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1964 წლის 29 დეკემბერი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები  
და დადგენილებანი**

(საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია)

**კ ა ნ ო ნ ი**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**659 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965  
წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

**მუხლი 2.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები:

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი	მილ. მან.	431,5
ძირითადი ფონდების ამოქმედება	„	428,3
შრომის ნაყოფიერების ზრდა პროცენტობით 1964 წელთან შედარებით:		
მრეწველობაში		7,3
მშენებლობაში		7,0
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	მილ. მან	1490
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე	ათ. კვ. მეტრი	— 396

**მუხლი 3.** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის კანონის შესაბამისად:

1965 წლის 1 იანვრიდან (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) ხელფასის მინიმალური ოდენობა უვეში 40—45 მანეთამდე გაუდიდდეთ მუშებსა და მოსამსახურეებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სადაც ეს ჯერ არ განხორციელებულა;

1965 წლის 1 მაისამდე (ნაცვლად 1965 წლის მეორე ნახევრისა ადრე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით) ჩატარდეს ხელფასის გათვალისწინებული მომატება საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და ორგანიზაციების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ხელოვნების დაწესებულებების, გამომცემლობების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, დამამზადებელი საწარმოებისა და ორგანიზაციების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, დაცვის, სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მუშაკებისათვის;

შემცირდეს ცალკეულ სახეობათა მედიკამენტების საცალო ფასები, გადიდდეს იმ მედიკამენტებზე სასსრების ხარჯვის ნორმები, რომლებიც უფასოდ ეძლევათ საავადმყოფოებში, ინვალიდთა და მოხუცთა სახლებში სამკურნალოდ

მყოფ ავადმყოფებს. აგრეთვე დამატებით უფასოდ გაიცემა მედიკამენტები ზო-  
გიერთი კატეგორიის ავადმყოფებისათვის.

გადიდდეს 1964 წელთან შედარებით:

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა	15,5 პროცენტით
ადგილების რიცხვი საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში	7,6 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხვი გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	1,6-ჯერ

**მუხლი 4.** დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწი-  
ფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის  
დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი  
საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და  
შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწანიძე.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

**კ ა ნ ო ნ ი**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**660 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის სახელმწიფო გიუჯეტის შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარ-  
მოდგენილი საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი  
საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით  
შემოსავლის ნაწილში 955.528 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 955.528

ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1966 წლის 1 იანვრისათვის 28.665 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 2.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 871.811 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 3.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — ქიმიური, ნავთობის, მანქანათმშენებლობის და მძიმე მრეწველობის სხვა დარგების, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით 405.389 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 4.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის—საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაგების, სანატორიუმების და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებებისათვის—სულ 497.639 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 98. 505 ათასი მანეთი.

**მუხლი 5.** დაწესდეს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შენახვაზე — 17.195 ათასი მანეთის ოდენობით.

**მუხლი 6.** დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1965 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 913.075 ათასი მანეთი, გასავალი— 597.876 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 315.199 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1966 წლის 1 იანვრისათვის 17.936 ათასი მანეთი.

**მუხლი 7.** დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1965 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის		ზარჯები	საბიუჯეტო სახსრების გარდაკვეთი ნაშთი 1966 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან	დღისგადასახადებიდან		
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	35.771,0	30 215,6	—	35.771,0	1.073,1
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	25.566,9	22.261,1	—	25 566,9	767,0
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	11.456,7	3 864,7	6 911,3	11.456,7	343,7
4. ქალაქი თბილისი	92.467,6	77.571,9	—	92.467,6	2.774,0
5. ქალაქი ქუთაისი	13.167,9	9.418,3	—	13, 67,9	395,0
6. ქალაქი ფოთი	4.737,1	4.071,4	—	4 737,1	142,1
7. ქალაქი კუთათურა	2 546,6	2 205,1	—	2.546,6	76,4
8. ქალაქი რუსთავი	13 831,8	6.279,9	6.798,5	13.831,8	415,0
9. ქალაქი გორი	3.567,5	2.890,3	—	3 567,5	107,0
10. ქალაქი ბორჯომი	2.396,8	2 011,8	—	2.396,8	71,9
11. ქალაქი ზესტაფონი	1 335,2	1.093,3	—	1.335,2	40,0
12. ქალაქი ზუგდიდი	2 629,9	1.590,0	678,2	2.629,9	78,9
13. ქალაქი კასპი	1.363,3	1.251,3	—	1.363,3	41,0
14. ქალაქი სამტრედია	1.071,0	714,9	—	1.071,0	32,1
15. ქალაქი თელავი	2.314,6	430,0	1.666,9	2.314,6	69,4
16. ქალაქი ტყიბულა	2.035,4	1.538,8	281,1	2.035,4	61,1
17. ქალაქი წყალტუბო	1.030,5	533,3	131,1	1.030,5	30,9
18. ამბროლაურის რაიონი	3 829,5	987,4	2 619,1	3.829,5	114,9
19. ახალქალაქის რაიონი	5 657,8	1.933,5	3.281,5	5 657,8	169,7
20. ახალციხის რაიონი	5.541,6	2.551,1	2.493,5	5 541,6	166,2
21. ახმეტის რაიონი	2 327,4	801,7	1.383,3	2.327,4	69,8
22. ბოლნისის რაიონი	7.236,7	1.899,4	4 855,1	7.236,7	217,1
23. გარდაბნის რაიონი	6 240,7	4.400,5	1.456,0	6 240,7	187,2
24. გეგეუკორის რაიონი	5.346,4	2.346,9	2.645,6	5.346,4	160,4
25. გორის რაიონი	6.488,4	5 626 0	3 64,4	6 488,4	194,6
26. გურჯაანის რაიონი	4.154,0	3.047,9	726,3	4.154,0	124,6
27. დღუშეთის რაიონი	2.945,7	92,1	2.206,2	2.945,7	88,4
28. ზესტაფონის რაიონი	4.718,1	3.545,8	933,3	4.718,1	141,5
29. ზუგდიდის რაიონი	6.441,9	5.499,6	345,4	6.441,9	193,3
30. თეთრი წყაროს რაიონი	5.476,7	978,5	4.102,2	5 476 7	164,3
31. თელავის რაიონი	2 702,6	2 586 8	—	2.702 6	81,1
32. თიანეთის რაიონი	1 777,8	306,9	1.354,2	1 777,8	53,8
33. ლანჩხუთის რაიონი	2.849,8	2.134,2	442 8	2 859,8	88,8
34. ლენტეხის რაიონი	1.665,7	115,1	1.498,3	1.665 7	50,0
35. მაიაკოვსკის რაიონი	4.723,2	882,2	3 577,1	4.723,2	141,7
36. მარნეულის რაიონი	1.770,6	1 635,1	—	1.770,6	53,1
37. მხარაბის რაიონი	4 903,2	4 297,8	—	4.903,2	147,1
38. მესტიის რაიონი	1.843,9	222,8	1.570,6	1.843,9	53,3
39. მცხეთის რაიონი	4.287,2	2.474,4	1.486,8	4.287,2	128,6

	შემოსავლი	მათ შორის		ბარაჯები	საბიუჯეტო სახსრების გარდასავალი ნაშთი 1966 წლის 1 იანვრისათვის
		ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან	დღატაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან		
40. ორჯონიკიძის რაიონი	2 854,4	473,8	2 265,1	2 854,4	85,6
41. სავარჯვოს რაიონი	2 354,5	1 502,3	705,1	2 354,5	70,6
42. საწხერის რაიონი	4 331,4	778,3	3 377,7	4 351,4	129,9
43. სიღნაღის რაიონი	5 331,8	2 872,7	1 974,3	5 331,8	160,0
44. ყაზბეგის რაიონი	1 243,6	112,0	1 079,8	1 243,6	37,3
45. ყვარლის რაიონი	5 015,0	4 628,4	—	5 015,0	150,4
46. ჩოხატაურის რაიონი	2 536,3	1 002,8	1 357,1	2 536,3	76,1
47. ცაგერის რაიონი	1 933,5	336,6	1 471,7	1 933,5	58,0
48. ცხაკიას რაიონი	5 456,2	4 751,8	226,5	5 456,2	163,7
49. წყალტუბოს რაიონი	3 997,0	1 780,1	1 997,7	3 997,0	119,9
50. წალენჯიხის რაიონი	2 306,9	1 675,4	501,9	2 306,9	69,2
51. წულუკიძის რაიონი	5 611,3	3 355,9	1 866,8	5 611,3	163,3
52. ხაშურის რაიონი	4 446,4	3 591,8	667,2	4 446,4	133,4
<b>ს ლ</b>	<b>357.652,0</b>	<b>243.904,3</b>	<b>71.294,7</b>	<b>357.652,0</b>	<b>10.729,0</b>

**მუხლი 8.** დამტკიცდეს 1965 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

- ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;
- გ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;
- დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცხოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან;



ანარიცხების პროცენტები

	მოსახლეობის საშუალო სავლო გადასახადიდან	კომლემენტურობათა სა- შუაშუალო გადასახა- დიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ შრომით, უკმბო, ბარტონელა და დიკო- ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბოქმების გადასახა- დიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40	100	100	89	46,5
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სო- ციალისტური რესპუბლიკა	44	100	100	73	35,2
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	8	—	—	77	21,9
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	74	1,3
6. ქალაქი ფოთი	40	100	100	99	88,3
7. ქალაქი ქიათურა	5,0	—	—	100	54,2
8. ქალაქი რუსთავი	100	—	—	100	100,0
9. ქალაქი გორი	61	—	—	96	32,3
10. ქალაქი ბორჯომი	50	—	—	98	49,1
11. ქალაქი ზესტაფონი	50	—	100	100	68,1
12. ქალაქი ზუგდიდი	100	—	100	100	100,0
13. ქალაქი კასპი	49	—	100	100	18,3
14. ქალაქი სამტრედია	35	—	—	100	26,7
15. ქალაქი თელავი	100	—	100	100	100,0
16. ქალაქი ტყიბული	100	—	—	100	100,0
17. ქალაქი წყალტუბო	100	—	—	100	100,0
18. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
19. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	100,0
21. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
22. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. გარდაბნის რაიონი	100	—	100	100	100,0
24. გეგეკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
25. გორის რაიონი	100	100	100	100	100,0
26. გურჯაანის რაიონი	100	100	100	100	100,0
27. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
28. ზესტაფონის რაიონი	100	100	100	100	100,0
29. ზუგდიდის რაიონი	100	100	100	100	100,0
30. თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
31. თელავის რაიონი	100	100	100	100	98,7
32. თიანეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. ლანჩხუთის რაიონი	100	100	100	100	100,0
34. ლენტეხის რაიონი	100	100	100	100	100,0
35. მიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100,0
36. მარნეულის რაიონი	50	—	—	100	41,6
37. მახარაძის რაიონი	20	90	49	10	37,9
38. მესტიის რაიონი	100	100	100	100	100,0

	ანარიცხების ხროცენტები				
	მოსახლეობის საშუალო-საველო გადასახადიდან	კულმურწინობათა სა-ველოსავლო გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ შტატო, უკმხო, მარტობელა და მტორ-ოჯახიან მოჭლაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
39. მცხეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
40. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
41. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
42. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
43. სიღნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
44. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	—
45. ყვარლის რაიონი	100	100	100	90	66,8
46. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
47. ტაგურის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. ცხაკაიის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	100,0
50. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
51. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ხაშურის რაიონი	100	100	100	100	100,0

**მუხლი 9.** დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბამე.

თბილისი, 1964 წლის 26 დეკემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**661** საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის უმარტულიანის ანგარიშის დამტკიცების უსახეზ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლებში 887 728 ათასი მანეთის, ხარჯებში — 845 578 ათასი მანეთის ოდენობით. ხარჯებზე შემოსავლის 42 150 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოჭინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**662** საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის დამტკიცების უსახეზ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1965 წლის 1 ივლისიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. კოჭინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**663** საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის დამტკიცების უსახეზ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო  
ადგენს:



1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1965 წლის 1 ივლისიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაქარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოჩინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

### კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**664** „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 21, 107, 108 და 109 მუხლებში ცვლილებათა და დაბატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის შექმნისა და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ“

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19, 20, 21, 107, 108 და 109 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეუკორის, გორის, გურჯაანის, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის.



წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, გორის, რუსთავის, ფოთის, ქუთაისის, ტყიბულისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

**მუხლი 20.** აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ვაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან.

**მუხლი 21.** აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქ ბათუმისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედის“.

„**მუხლი 107.** თბილისის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის, ტყიბულისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და სამმართველოები თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ-ის სათანადო სამინისტროებს.

**მუხლი 108.** ქალაქ სოხუმისა და ქალაქ ტყვარჩელის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე აფხაზეთის ავტონომიური სსრ-ის სათანადო სამინისტროს.

**მუხლი 109.** ქალაქ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე აჭარის ავტონომიური სსრ-ის სათანადო სამინისტროს“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი, 1964 წლის 26 დეკემბერი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**665** „საქართველოს სსრ საკავშირე-რესპუბლიკური სახალხო მოსახლემოციო გეოლოგიური კომიტეტის უმჯინის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლში დამატებითა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 მუხლს სიტყვების: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

დადგინდებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

**666** ამხ. ბ. ი. გუჯავაძიანის საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 23 სექტემბრის ბრძანებულება ამხ. ბორის ივანეს ძე გუჯავაძიანის საქართველოს სსრ სახელმწიფო საწარმოო გეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**667** „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მურომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების შექმნის შესახებ“, ამასთან შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 81 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 81.** სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ქმნის აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგ განყოფილებებსა და სამმართველოებს:

**განყოფილებებს:**

- განათლებისას;
- ვაჭრობისას;
- კომუნალური მეურნეობისას;
- კულტურისას;
- მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა;
- საგზაოს;
- საერთოს;
- საორგანიზაციო-საინსტრუქტოროს;
- საფინანსოს;
- სოციალური უზრუნველყოფისას;
- ჯანმრთელობის დაცვისას;
- საგეგმო კომისიას.

**სამმართველოებს:**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას;

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისას;

კადრების სექტორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარესთან და, გარდა ამისა, ავტონომიური ოლქის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად, საჭიროების მიხედვით, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს დამტკიცებით, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭო ქმნის სხვა განყოფილებებსა და სამმართველოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძონდინძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვახაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

**კ ა ნ ო ნ ი**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**668** „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცენტრალურად სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის უფადგომი განვითარების შესახებ“ კანონის 8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

პრეზიდიუმის  
1964

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ამის შესაბამისად 1959 წლის 18 აპრილის საქართველოს სსრ აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის „ბ“ პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები: „მიიღებენ სამი წლის განმავლობაში“ შეიცვალოს სიტყვებით: „მიიღებენ ორი წლის განმავლობაში“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვანავაძე**.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

**კ ა ნ ო ნ ი**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**669** „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტორტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება „ნასვამ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვისათვის და მოძრაობის უსაშიშროების და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების სხვა დარღვევისათვის ავტომოტორტრანსპორტის და ქალაქის ელექტროტრანსპორტის მძღოლთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვანავაძე**.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.



## კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**670** „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დეპუტატთა ჯგუფების მიერ ცვლილებისა და დამატების შეთანხმების შესახებ“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულება „არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი, 1964 წლის 26 დეკემბერი.

## კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

**671** საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 49 და 80 მუხლებში ცვლილებების შეთანხმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 49 და 80 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 49.** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და განკარგულებანი, გააუქმოს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებანი და განკარგულებანი, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა ბრძანებები და ინსტრუქციები“.

„**მუხლი 80.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი და განკარგულებელი ორგანო არის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილენი, მდივანი და წევრები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვავაძე.

თბილისი, 1964 წლის 26 დეკემბერი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

**672** სამანდატო კომისიის მოხსენების გამო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება, ადგენს:

ცნობილ იქნეს ქალაქ ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში 1964 წლის 5 ივლისს არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პეტრე ალექსანდრეს ძე როდიონოვის რწმუნებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**673** ამხ. ნ. ს. მებრეველის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ სიმონის ძე მებრეველი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1964 წლის 25 დეკემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**674** ამხ. ვ. ლ. ზანკოტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სამუშაო ორგანიზაციებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრესტ „ინჟინერის“ მმართველი ამხ. ვახტანგ ლავრენტის ძე ზანკოტაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვამბაძე**.

თბილისი. 1964 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**675** ამხ. ვ. ვ. შეროზიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების უშუალოდ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვალენტინა ვლადიმერის ასული შეროზია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**676** ამხ. პ. დ. ვერიშენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. კონსტანტინე დენისის ძე ვერიშენკო დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამჩაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**677** საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში აქტიური მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. გიორგი პლატონის ძე ზედგენიძეს — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს.

2. ავეტ მათეს ძე კაზანჯიანს — საქართველოს სსრ სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრს.

3. უნა იოსების ასულ კომპანიონს — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ხელშემწყობი საბჭოს სექციის ხელმძღვანელს.

4. კარლო ვლადიმერის ძე შორეტს — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული მშენებლობის ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

5. გაბრიელ ალექსანდრეს ძე ნინუას — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

6. ივანე მიხეილის ძე ოვადოვსკის — სამშენებლო ორგანიზაციის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს წევრს.

7. გიორგი ნიკოლოზის ძე ქარცივაძეს — საქართველოს სსრ სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის წევრს.

8. ვიტალი დავითის ძე დოღობერაძეს — პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს მდივანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**678** ამხ. ი. ი. ბოკარინას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტის დირექტორი ამხ. ივანე ივანეს ძე ბოკერია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვამბაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**679** ამხ. ო. დ. ონიაშვილისათვის საქართველოს სსრ მცენიარებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ სამშენებლო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის სამშენებლო მექანიკის სექციის ხელ-





9. სოკრატ ყარამანის ძე ჩარკვიანი — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრი.

10. პეტრე პლატონის ძე წულუკიძე — საქართველოს სსრ სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების გამგეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაძე.

თბილისი. 1964 წლის 26 დეკემბერი.

**1964 წლის ანგანურ-სახელოვანი საქმიანობის  
ნაწილი პირველი**



**აქტი** — მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტები, № 15 მუხ. 250\*), 251, № 16 მუხ. 290; № 17 მუხ. 298; № 19 მუხ. 340, 341; № 24 მუხ. 418; № 31 მუხ. 533; № 33 მუხ. 568; № 34 მუხ. 583, 584, 585; № 36 მუხ. 629, 632, 633, 634, 635; შეწყალების საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული აქტების ფორმა, № 33 მუხ. 565.

**ბიუჯეტი** — სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, № 35 მუხ. 600; სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება, № 35 მუხ. 601.

**გადასახადი** — სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის ნაწილობრივი შეცვლა, № 11 მუხ. 182; № 21 მუხ. 376; „იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის შესახებ, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების და აღნიშნული ბრძანებულების დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის კანონის ძალადაკარგულად ცნობა, № 31 მუხ. 533.

**გაერთიანებული ეროვნული ორგანიზაცია** — წესდების შესწორებების რატიფიკაცია, № 36 მუხ. 630, გვ. 940;

**გეგმა** — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა, № 35 მუხ. 599.

**დახმარება** — იხ. პენსიები.

**დღისასწავლი** — „რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის“ დღე-სასწავლის დაწესება, № 33 მუხ. 567.

**ეროვნებათა საბჭო** — ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა ცნობა, № 21 მუხ. 382; № 35 მუხ. 610; დეპუტატ ბ. ნ. პონომარიოვის ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევა, № 21 მუხ. 383; ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის სხდომა, № 21 გვ. 515; № 35 გვ. 894; ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის სხდომა, № 21 გვ. 516; კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა № 22 გვ. 543; კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა, № 28 გვ. 689; დეპუტატ მ. რახმატოვის ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის წევრად არჩევა, № 35 მუხ. 611.

**ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისია** — იხ. ეროვნებათა საბჭო.

**თევეზირა და თევეზის რესურსების დაცვა** — ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერება სსრ კავშირის წყალსატევებში თევეზერისა და თევეზის რესურსების დაცვის წესების დარღვევისათვის, № 10 მუხ. 160; № 21 მუხ. 375.

\* დამოწმებულია „უწყებების“ ნომერი, აგრეთვე გამოქვეყნების მუხლის ნომერი (მუხ.) ან გვერდი (გვ.).



**კავშირის საბჭო**

— კ. ს. დებუტატების რწმუნებათა ცნობა, № 21 მუხ. 380; № 35 მუხ. 609; კ. ს. თავმჯდომარის მოადგილედ შ. ჩ. ჩოკინის არჩევა, № 21 მუხ. 381; კ. ს. საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის სხდომა, № 21 გვ. 515; № 35 გვ. 894; კ. ს. და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა, № 22 გვ. 543; კ. ს. და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა, № 28 გვ. 689.

**კანონი**

— სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის ნაწილობრივ შეცვლა, № 11 მუხ. 182; № 21 მუხ. 376; კანონი კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ, № 21 მუხ. 368; კანონი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, № 21 მუხ. 369; კანონი იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს ბრძანებულება სსრ კავშირის სამეცნიერო-საკვლეო სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის საერთო-საკავშიროდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ, № 21 მუხ. 374; კანონი იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს ბრძანებულება სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერის და თევზის რესურსების დაცვის წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, № 21 მუხ. 375; კანონი იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს ბრძანებულება სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის დამტკიცების შესახებ, № 21 მუხ. 377; „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა, № 24 მუხ. 416; იმ მოქალაქეთა ფულადი გადასახადის შესახებ, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ ქალაქებში, ბრძანებულების დამტკიცების შესახებ კანონის ძალადაკარგულად ცნობა, № 31 მუხ. 533; კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, № 35 მუხ. 599; კანონი სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, № 35 მუხ. 600; კანონი სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის თაობაზე მიღებული ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77 მუხლში დამატების შეტანის შესახებ, № 35 მუხ. 605; კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების დამტკიცებასა და „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანაზე, № 35 მუხ. 606; კანონი „ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“ მიღებული ბრძანებულების დამტკიცებაზე, № 35 მუხ. 607.

**კოდექსი** — სსრ კავშირის საბაჟო კოდექსი, № 16 მუხ. 281;



**კონვენცია** — დუნაის კომისიის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების კონვენცია, № 10, გვ. 248; წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის მწვანის შენარჩუნების თაობაზე დადებულ დროებით კონვენციაში შესწორებათა შეტანის ოქმი, № 12 გვ. 277; რატიფიკაცია, № 4 მუხ. 68; დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე დადებული ვენის კონვენცია, № 13 გვ. 297; რატიფიკაცია, № 5 მუხ. 63; ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის თაობაზე დადებული კონვენცია, № 30 გვ. 739; საგარეო ვაჭრობის არბიტრაჟის თაობაზე დადებული ევროპის კონვენცია, № 31 გვ. 763;

**რატიფიკაცია** — ატლანტის ოკეანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თევზჭერის თაობაზე დადებული საერთაშორისო კონვენციის ოქმისა, № 8 მუხ. 135.

**კონსტიტუცია** — საკონსტიტუციო კომისიის სხდომა, № 21 გვ. 517; ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩევა, № 35 მუხ. 602; საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლება, № 35 მუხ. 603; „სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის თაობაზე“ მიღებული ბრძანებულების დამტკიცებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 77 მუხლში დამატების შეტანა, № 35 მუხ. 605.

**მინისტრთა საბჭო** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. მიქოიანის განთავისუფლება, № 21, მუხ. 373; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლება, № 30 მუხ. 506 გვ. 729; № 35 მუხ. 598; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლება, № 30 მუხ. 507 გვ. 729; № 35 მუხ. 597.

**მოკავშირე რესპუბლიკების საზღვარი** — ბელორუსიის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლა, № 33 მუხ. 566; № 35 მუხ. 607.

**მშრომელთა დეპუტატების საბჭოები** — მშრომელთა დეპუტატების ერთიანი საოლქო საბჭოების შექმნა: კაშკადარიისი, სამარყანდისა, № 6 გვ. 142.

**პასუხისმგებლობა** — სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა დისციპლინური პასუხისმგებლობა, № 7 მუხ. 122; სსრ კავშირის წყალსატევებში თევზჭერისა და თევზის რესურსების დაცვის წესების დარღვევების გამო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაძლიერება, № 10 მუხ. 160; № 21 მუხ. 375.

**პენსიები** — კოლმეურნეობების წევრთა პენსიები და დახმარება, № 21 მუხ. 368; შექმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიისა, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესით და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით, № 21 მუხ. 370 და ამ კომისიის სხდომა, № 23 გვ. 577.



**პროკურატურა** — საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხების ზოგიერთი დებულების შეცვლა, № 6 მუხ. 103; სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა, № 7 მუხ. 122; ამხ. ა. ნ. მიშუტინის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლება, № 11 მუხ. 178; ამხ. მ. პ. მალიაროვის სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშვნა და სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის წევრად დამტკიცება, № 11 მუხ. 179.

**რწმუნების სიხვედრი** — უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის რწმუნების სიგელების გადაცემა: კანადის, № 2 გვ. 29; კუვეიტის სახელმწიფოს, № 3 გვ. 47; კენიის რესპუბლიკის, № 3 გვ. 47; იაპონიის, № 3 გვ. 48; შვეციის, № 4 გვ. 75; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, № 8 გვ. 199; იემენის არაბთა რესპუბლიკის, № 9 გვ. 227; ბრაზილიის, № 9 გვ. 227; საფრანგეთის, № 9 გვ. 228. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, № 10 გვ. 248; იორდანის, № 11 გვ. 260; ინდონეზიის რესპუბლიკის, № 11 გვ. 260; შვეიცარიის, № 13 გვ. 298; საბერძნეთის, № 18 გვ. 448; ავსტრიის, № 21 გვ. 493; არგენტინის რესპუბლიკის, № 22 გვ. 542; ბირმის კავშირის, № 22 გვ. 542; გვინეის რესპუბლიკის, № 23 გვ. 575; ლივიის სამეფოს, № 26 გვ. 654; ბურუნდის სამეფოს, № 26 გვ. 655; უგანდის რესპუბლიკის, № 29 გვ. 706; თურქეთის რესპუბლიკის, № 31 გვ. 763; ერაყის რესპუბლიკის, № 32 გვ. 794; იტალიის რესპუბლიკის, № 36, გვ. 939.

**საბიუჯეტო კომისიები** — იხ. ეროვნებათა საბჭო; კავშირის საბჭო.

**საბარეო სამხმეთა კომისიები** — იხ. ეროვნებათა საბჭო; კავშირის საბჭო.

**საპანონმდებლო განჯარახულებათა კომისიები** — იხ. ეროვნებათა საბჭო; კავშირის საბჭო.

**საქლასო ხარისხი** — საპროკურორო-საგამომძიებლო მუშაკთა საკლასო ხარისხების ზოგიერთი დებულების შეცვლა, № 6 მუხ. 103.

**სამინისტრო** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საქვერო ფლოტის მთავარი სამმართველოს ბაზაზე სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნა, № 22 მუხ. 394; № 35 მუხ. 605.

**საპარლამენტო ჯგუფი** — ს. ჯ. კომიტეტის სხდომა, № 36 გვ. 939

**სასჯალი** — სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის გამოყენების წესი, № 14 მუხ. 239.

**სახალხო განათლება** — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა, № 24 მუხ. 416; № 35 მუხ. 606.

**სახელის მიკუთვნება** — ვოლგა-ბალტიის წყალსავალი გზისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნება, № 35 მუხ. 596.



**სახელმწიფო კომიტეტი — გარდაქმნა:** სსრ კავშირის სამეცნიერო

კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტისა საერთო საკვებო ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ, № 3 მუხ. 45; № 21 მუხ. 374; სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის გამგებლობაში საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაცემის წესი; № 15 მუხ. 249;

**განთავისუფლება:** ამხ. მ. ა. ხარლამოვისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომალწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, № 31 მუხ. 532, № 35 მუხ. 608;

**დანიშვნა:** ამხ. ნ. ნ. მესიაევისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომალწყებლობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, № 31 მუხ. 532, № 35 მუხ. 608;

**სახელწოდების მიინიება და შეცვლა** — მხარეებისა, ოლქებისა, რაიონებისა, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტებისათვის საწარმოებისა, კოლმეურნეობებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სახელწოდების მიკუთვნების და შეცვლის წესი, № 31 მუხ. 531.

**სსრ კავშირის მინისტრი — დანიშვნა:** კ. ი. ბრეხოვისა, № 3 მუხ. 43; № 21 მუხ. 378; ე. თ. ლოგინოვისა — სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრად, № 25 მუხ. 432; № 35 მუხ. 608; ნ. ვ. მარტინოვისა, № 29 მუხ. 489; № 35 მუხ. 608; ა. ი. რიაბენკოსი, № 11 მუხ. 183; № 21 მუხ. 378; ვ. ს. ფეოდოროვისა, № 3 მუხ. 44; № 21 მუხ. 378.

**განთავისუფლება:** ვ. მ. გუშინისა, № 36 მუხ. 636.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საპარო ფლოტის მთავარი სამმართველო** — იხ. სამინისტრო.

**სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი** — დანიშვნა:

ს. პ. დიუკარევისა — სომალის რესპუბლიკაში, № 21 მუხ. 367; ა. ლ. ვორონინისა — გვინეის რესპუბლიკაში, № 34 მუხ. 587; ბ. ე. კირნასოვსკისა — ლაოსში, № 28 მუხ. 480; ვ. ს. ლავროვისა — კენიაში, № 4 მუხ. 67; ა. ე. მალიშევისა — ტუნისის რესპუბლიკაში, № 30 მუხ. 509; ი. ი. მარჩუკისა — ბურუნდის სამეფოში, № 18 მუხ. 310; ნ. მ. პეგოვისა — ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში, № 3 მუხ. 42; ა. ი. რომანოვისა — ნიგერიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, № 11 მუხ. 181; პ. კ. სლიუსარენკოსი — იორდანის ხაშიმიტურ სამეფოში, № 4 მუხ. 69; ვ. ვ. სნეგროვისა — კამერუნის ფედერაციულ რესპუბლიკაში, № 19 მუხ. 342; ი. ს. სპიცკისა — კონგოს რესპუბლიკაში (ბრაზავილში), № 21 მუხ. 365; ს. რ. სტრიგანოვისა — აღმოსავლეთ რესპუბლიკა ურუგვაიში, № 36 მუხ. 631; წ. კ. ტუპიცინისა — ისლანდიაში, № 1 მუხ. 2; ი. ს. შჩერბაკოვისა — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, № 26 მუხ. 458; დ. ს. ჩუვახინისა — ზანზიბარისა და პემბის სახალხო რესპუბლიკაში, № 6 მუხ. 104; ისრაელის სახელმწიფოში, № 30 მუხ. 505.

**მოვალეობისაგან განთავისუფლება:** ა. ნ. აბრამოვისა — ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში № 3 მუხ. 4; ა. მ. ალექსანდროვისა — ისლანდიაში, № 1 მუხ. 1; ს. ა. აფანასიევისა — ლაოსში, № 28 მუხ. 479; მ. თ. ბოდროვისა — ისრაელის სახელმწიფოში, № 30 მუხ. 504; დ. დ. დეგტიარისა — გვინეის რესპუბლიკაში, № 34 მუხ. 586; თ. პ. დოლიასი — ნიგერიის ფედერა-



ციულ რესპუბლიკაში, № 11 მუხ. 180; ს. ა. თოვმასიანისა — ვიეტნამის კრატულ რესპუბლიკაში, № 26 მუხ. 457; ა. გ. კულაქენკოვისა — ტუნისის რესპუბლიკაში, № 30 მუხ. 508; ს. ს. ნემჩინასი — ბურუნდის სამეფოში, № 18 მუხ. 309; გ. ი. ფომინისა — სომალის რესპუბლიკაში, № 21 მუხ. 366.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება**

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესით და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალურ უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით, № 21 მუხ. 370; დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის განთავისუფლების შესახებ, № 21 მუხ. 371; დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიქოიანის არჩევის შესახებ, № 21 მუხ. 372; დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. მიქოიანის განთავისუფლების შესახებ, № 21 მუხ. 373; დადგენილება იმის თაობაზე, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სსრ კავშირის მინისტრების დანიშვნის შესახებ, № 21 მუხ. 378; დადგენილება ამხ. ნ. თ. ჩისტიაკოვის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ, № 21 მუხ. 379; დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ, № 35 მუხ. 597; დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ, № 35 მუხ. 598 დადგენილება სსრ კავშირის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ, № 35 მუხ. 601; დადგენილება ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ, № 35 მუხ. 602; დადგენილება საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის განთავისუფლების შესახებ, № 35 მუხ. 603; დადგენილება დეპუტატ მ. ზოლოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევისა და ამ მოვალეობისაგან დეპუტატ მ. რახმატოვის განთავისუფლების შესახებ, № 35 მუხ. 604; დადგენილება სსრ კავშირის მინისტრთა დანიშვნისა და სსრ კავშირის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თაობაზე მიღებულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ, № 35 მუხ. 608.

**სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები** — სისხლის

სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44-ე მუხლის გამოყენების წესი, № 14 მუხ. 239.

**სკოლა** — იხ. სახალხო განათლება.

**უმაღლესი საბჭო**—მოწვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებისა:

მეოთხესი № 17 მუხ. 299; მეხუთესი, № 32 მუხ. 554;

**არჩევნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა:** ა. ი. ბარაევსა,

№ 8 გვ. 200; ნ. ა. ბელუხასი, № 12 გვ. 278; ი. მ. დოდონოვასი, № 15 გვ. 347;



ა. ა. ვოლოშინისა, № 29 გვ. 706; მ. ნ. ზახაროვისა № 13 გვ. 299. ა. პ. კუცინისა, № 26 გვ. 655; თ. დ. ოჭარენკოსი, № 35 გვ. 896; ს. ი. ოლენიკისა, № 35 გვ. 896; პერევიაზკოსი, № 15 გვ. 347; ნ. მ. სკომოროხოვისა, № 8 გვ. 200; შ. ჩ. ჩოკინისა, № 15 გვ. 347; მ. ხოლოვისა, № 22 გვ. 545; პ. ხუტაევისა № 35 გვ. 896;

**გაწვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ რ. ს. გუსეინოვისა,** № 30 გვ. 740;

**განთავისუფლება:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა, № 21 მუხ. 371;

**არჩევა:** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიქოიანისა, № 21 მუხ. 372;

**არჩევა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატ მ. ხოლოვისა და **განთავისუფლება** ამ მოვალეობისაგან დეპუტატ მ. რახმატოვისა, № 35 მუხ. 604.

იხ. **ეროვნებათა საბჭო; კავშირის საბჭო.**

**უმაღლესი სასამართლო** — არჩევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სასამართლოს წევრად ამხ. ნ. თ. ჩისტიაკოვისა, № 21 მუხ. 379.

**შეთანხმება** — სსრ კავშირის რკინიგზის უბანზე პოლონეთის სატრანზიტო მატარებლების მიმოსვლის გამო სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმება, № 1 გვ. 10;

სსრ კავშირისა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის სავაჭრო შეთანხმება, № 3 გვ. 46;

გადასაყვანი მანეთებით მრავალმხრივი ანგარიშსწორებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის დაარსების თაობაზე დადებული შეთანხმება, № 5 გვ. 108; რატიფიკაცია № 4 მუხ. 66.

სსრ კავშირის მთავრობასა და ავღანეთის სამეფო მთავრობას შორის ავღანეთის ეკონომიკის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პერიოდში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე 1961 წლის 16 ოქტომბერს დადებული შეთანხმების ოქმი, № 5 გვ. 109.

შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ეკონომიური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს მალის რესპუბლიკას სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს „ოფის დიუ ნიყერის“ განვითარებაში, № 9 გვ. 226;

შაქრის თაობაზე დადებული 1958 წლის საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების გაგრძელების ოქმი, № 11 გვ. 259.

სსრ კავშირისა და ტანგანიკის რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის თაობაზე დადებული შეთანხმება, № 11 გვ. 259; რატიფიკაცია, № 6 მუხ. 101.

შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ კრედიტი მისცეს კუბის რესპუბლიკის მთავრობას, № 12 გვ. 276.

ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების დარგში თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირის და ავღანეთის მეფის მთავრობას შორის დადებული შეთანხმება, № 12 გვ. 277; რატიფიკაცია, № 5 მუხ. 84.



სსრ კავშირის მთავრობასა და ავღანეთის მეფის მთავრობას შორის შეთანხმება იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს ავღანეთს ჩრდილოეთ ავღანეთის რაიონების საზღვრითა ბუნებრივი გაზის მოპოვების ორგანიზაციასა და გამოყენებაში № 22 გვ. 541; რატიფიკაცია, № 6 მუხ. 102.

შეთანხმება კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ სსრ კავშირსა და დაგომეას შორის, № 25 გვ. 625.

სავაჭრო შეთანხმება სსრ კავშირსა და დაგომეას რესპუბლიკას შორის, № 25 გვ. 625; რატიფიკაცია, № 8 მუხ. 134. 1962 წლის ყავის საერთაშორისო შეთანხმება, № 35 გვ. 894; რატიფიკაცია, № 2 მუხ. 28.

**რატიფიკაცია:**

შეთანხმებისა, იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მთავრობამ დამატებითი კრედიტი მისცეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების მიზნებისათვის, № 8 მუხ. 136;

ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე დადებული საბჭოთა კავშირ-ალჟირის შეთანხმებისა, № 13, მუხ. 221;

სსრ კავშირის მთავრობის მიერ კუბის რესპუბლიკის მთავრობისათვის კრედიტის მიცემის თაობაზე დადებული შეთანხმებისა, № 16 მუხ. 282;

ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის 1961 წლის 2 ივნისის შეთანხმების ზოგიერთი მუხლის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე სსრ კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის დადებული ოქმისა, № 19 მუხ. 339;

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიური განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ცალკეული სამრეწველო საწარმოებისა და ობიექტების მშენებლობაში ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე სსრ კავშირის მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებისა, № 35 მუხ. 628;

საიმის არხის საბჭოთა ნაწილისა და კუნძულ მალი ვისოცკის ფინეთის რესპუბლიკისათვის იჯარით გადაცემაზე სსრ კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულების ოქმისა, № 36 მუხ. 637.

**წახალისება** — სსრ კავშირის პროკურატურის ორგანოების პროკურორთა და გამომძიებელთა წახალისება და დაჯილდოება, № 7 მუხ. 122.

**ხელფასი** — განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის იმ სხვა დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატება, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას, № 21 მუხ. 369.

**ხელშეკრულება** — სსრ კავშირის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, № 28 მუხ. 478; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ ხელშეკრულების მოწონება და გადაწყვეტილება ერჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმს მოახდინოს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია. № 28 გვ. 689; ხელ-  
შეკრულების რატიფიკაცია, № 28 გვ. 689, მუხ. 477.

**რატიფიკაცია:** სსრ კავშირსა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის მე-  
კობრობის ხელშეკრულებისა, № 24 მუხ. 417.

**ჯარიმა** — იხ. თევჭყერა და თევზის რესურსების დაცვა.

## II.

### „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭება

ეგოროვი ბ. ბ., № 30, მუხ. 514.

კომაროვი ვ. მ., № 30, მუხ. 512.

ფეოქტისტოვი კ. პ., № 30, მუხ. 513.

### საგვომთა კავშირის გვირის წოდების მინიჭება

ამერი აბდელ ჰაქიმ, № 15, მუხ. 256.

ბენ ბელა ახმედ, № 13, მუხ. 232.

ეგოროვი ბ. ბ., № 30, მუხ. 517.

ზორგე რიხარდ, № 31, მუხ. 542.

კადარი იანოშ, № 11, მუხ. 185.

კომაროვი ვ. მ., № 30, მუხ. 515.

ნასერი გამალ აბდელ, № 15, მუხ. 255.

პორიკი ვ. ვ., № 21, მუხ. 389.

ფეოქტისტოვი კ. ფ., № 30, მუხ. 516.

შმენკელი ფ., № 29, მუხ. 490.

ხრუშჩოვი ნ. ს., № 12, მუხ. 208.

### სოციალისტური უროვის გვირის წოდების მინიჭება

ბაკული ვ. ნ., № 1, მუხ. 16.

ბლაგონრაგოვი ა. ა., № 16, მუხ. 286.

ბერიტაშვილი ი. ს., № 36, მუხ. 654.

ელანსკი ნ. ნ., № 13, მუხ. 233.

კერეშჩაგინი ლ. თ., № 1, მუხ. 16.

ვოევოდინი პ. ი., № 1 მუხ. 17.

იაკუტიის ასსრ აღმასის მომპოვებელი მრეწველობის მუშაკები: ვასილიე-  
ვი ს. მ., ტიხონოვი ვ. ი., ტროფიმოვი ვ. გ., № 3, მუხ. 53.

კონენკოვი ს. ტ., № 20, მუხ. 355.

კოსიგინი ა. ნ., № 6, მუხ. 111.

ლორხი ა. გ., № 16, მუხ. 287.

მარდაშევი ს. რ., № 19, მუხ. 343.

პავლოვსკი ე. ნ., № 7, მუხ. 126.

## სსრ კავშირის ორდენებითა და მედალებით დაჯილდოება

- ავღანეთის სპეციალისტები და მუშები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ჯაბალ-უს-სერაჯ-დოშის მაღალმთიანი საავტომობილო გზის მშენებლობის დროს, № 25, გვ. 627.
- აზბესტის საწარმოების, სამეცნიერო-საკვლეო და საპროექტო ინსტიტუტების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი აზბესტის გამომუშავების საწარმოო სიმძლავრეთა ზრდასა და ათვისებაში და აზბესტის მრეწველობის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში, № 33 გვ. 820.
- აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, № 16 მუხ. 284.
- ალბეგონოვი ხ. ა., № 6, მუხ. 105.
- ალიხანოვი ა. ი., № 8., მუხ. 141.
- ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის საბჭოთა არმიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემოქმედებითი მუშაკები, № 33 გვ. 819-820.
- ალიხანოვი ა. ი., № 21, მუხ. 385.
- ანდრიანოვი კ. ა., № 36, მუხ. 653.
- ანდროპოვი ი. ვ., № 18, მუხ. 311.
- ანტონოვი ვ. ი., № 5, მუხ. 92.
- არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სპეციალისტები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ასუანის მაღლივი კაშხლის პირველი რიგის მშენებლობის დროს, № 15 გვ. 346.
- არზუმანიანი ა. ა., № 5, მუხ. 94.
- არუთინოვი ა. ი., № 1, მუხ. 18.
- ასათიანი გ. ი., № 18 მუხ. 319.
- აფანასენკო ე. ი., № 11, მუხ. 192.
- ამელკო ნ. ნ., № 34, მუხ. 588.
- ბაზაროვი ს. ტ., № 4 მუხ. 73.
- ბალანდინი ვ. პ., № 36, მუხ. 651.
- ბანიკოვი ნ. ვ., № 15, მუხ. 252.
- ბარხუდაროვი ს. გ., № 8, მუხ. 146.
- ბაყანი ნ. პ., № 29, მუხ. 491.
- ბაღდასარიანი ო. მ., № 11, მუხ. 196.
- ბეგისოვი ჟარდემგალი, № 11, მუხ. 195.
- ბეზუბიკი ვ. გ., № 24, მუხ. 429.
- ბელოკუროვი ვ. ვ., № 22, მუხ. 399.
- ბელი ვ. ა., № 17, მუხ. 302.
- ბირიუკოვი დ. ა., № 24, მუხ. 421.
- ბლიუხერი ვ. ვ., № 21, მუხ. 387.
- ბოიკო ვ. ე., № 13, მუხ. 227.
- ბოიკო ლ. ვ., № 4, მუხ. 75.
- ბულგარელი გენერალი ზაიმოვი ვ. № 1 მუხ. 19.



- ბრატუსი ს. ნ., № 31, მუხ. 535.  
ბრუშტეინი ა. ი., № 25, მუხ. 447.  
ბუტენკო გ. პ., № 5 მუხ. 93.  
გაზეთი „სელსკაია ეიზნ“, № 26 მუხ. 460.  
გაზეთი „სოვეტსკაია ბელორუსია“, № 10 მუხ. 164.  
გაზეთი „მოლოდ უკრაინი“, № 34 მუხ. 590.  
გალინი (როგალინი) ბ. ა., № 30 მუხ. 523.  
გაინიუკი მ. ტ., № 25 მუხ. 439.  
გერასიმოვი მ. ა., № 29 მუხ. 495.  
გენკინი დ. მ., № 36, მუხ. 652.  
გნესინა ე. ფ., № 18, მუხ. 320.  
გოლიში ი. პ., № 12, მუხ. 207.  
გოროდეცკი ს. მ., № 12, მუხ. 205.  
გრიგორიანი ა. ს., (ამო საგიანი), № 11 მუხ. 197.  
გრინი ვ. ვ., № 27 მუხ. 469.  
გროდნოს აზოტოვანი სასუქების ქარხნის, სოლიგორსკის კალიუმის კომ-  
ბინატის და პოლიციის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლები,  
№ 6 გვ. 140.  
გროტევილი ო., № 8, მუხ. 143.  
გრუშევი ი. ს., № 25 მუხ. 440.  
გუსაკოვსკი ი. ი. № 36 მუხ. 645.  
დადაშაძე მ. ა., № 25 მუხ. 434.  
დაიროვი მ. დ., № 9 მუხ. 156.  
დანის მოქალაქენი, № 15 მუხ. 257; № 18 მუხ. 315, 316.  
დვარიონასი ბ. დ., № 19 მუხ. 346.  
დედკოვა ა. პ., № 15 მუხ. 258.  
დერეგუსი მ. გ., № 35 მუხ. 615.  
დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანა, № 21 მუხ.  
386; ქარხნის მუშაკები, № 25 გვ. 627.  
დობროგორსკი ი. ა., № 36 მუხ. 649.  
დმიტრინი ა. გ., № 25 მუხ. 445.  
დნეპროპეტროვსკის მეტალურგიული მოწყობილობის ქარხანა, № 21  
მუხ. 386.  
დრიგინი ა. ს., № 9 მუხ. 157.  
ეგოროვი ა. ა., № 21 მუხ. 384.  
ენზენი ი. ი., № 29 მუხ. 496.  
ენგელგრადტი ვ. ა., № 35 მუხ. 613.  
ერიომინი დ. ი., № 29 მუხ. 497.  
ერშოვი ვ. ს., № 24 მუხ. 428.  
ვატჩენკო ა. ფ., № 6 მუხ. 116.  
ვოლკოვი ვალერი, № 1 მუხ. 9.  
ვორობიოვი გ. ი., № 11 მუხ. 199.

- ვორონოვი ფ. დ., № 4 მუხ. 72.  
ვლასოვი ნ. ნ., № 35 მუხ. 612.  
ზავადსკი ი. ა., № 22 მუხ. 398.  
ზავლადა ნ. გ., № 26 მუხ. 459.  
ზალიგინი ს. პ., № 8 მუხ. 138.  
ზაპოროჟეცი მ. კ., № 3 მუხ. 51.  
ზბანაკი გ. ო., № 1 მუხ. 13.  
ზგურიდი ა. მ., № 6 მუხ. 112.  
ზილბერი ლ. ა., № 10 მუხ. 163.  
ზიმიანინი მ. ვ., № 33 მუხ. 575.  
თხილაიშვილი ა. დ., № 31 მუხ. 539.  
იაკუტიის ასსრ აღმასის მომპოვებელი მრეწველობის მუშაკები, № 3 გვ. 48.  
იუგოსლავიის მოქალაქე ზოტოვიჩი მ., № 6 მუხ. 109.  
იუსუპოვი გ. გ., № 5 მუხ. 91.  
იუსუპოვი ი., № 12 მუხ. 201.  
იუცისი ა. პ., № 25 მუხ. 443.  
იარმატოვი კ. ი., № 15 მუხ. 253.  
იგნატოვი ნ. თ., № 17 მუხ. 300.  
იგნატოვი პ. კ., № 29 მუხ. 494.  
ივანუშკინი ა. ა., № 36 მუხ. 642.  
ილიუშინი ს. ვ., № 10 მუხ. 165.  
ისაევი ა. ი., № 2 მუხ. 30.  
ისმაილოვი ბ., № 1 მუხ. 11.  
ისტრუ ბ. ს., № 12 მუხ. 215.  
იუტკევიჩი ს. ი., № 36 მუხ. 650.  
კალატოზოვი მ. კ., № 1 მუხ. 7.  
კალნინში ა. ი., № 27 მუხ. 427.  
